საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2408/01
04/03/2020

2408-01-2-202003041148

შპს „რომპეტროლ საქართველოს“
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა N12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 17 თებერვლის N2694 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ: 64.22.08.011) დაგეგმილია ბენზინისა და დიზელის მიწისქვეშა რეზერვუარების განთავსება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2020 წლის 13 იანვარს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად, დადგინა, რომ ტერიტორიაზე განხორციელდა მიწის სამუშაოები, კერძოდ: რეზერვუარები განთავსდა ბეტონის სარკოფაგში, ასევე შესრულდა სახანძრო-უსაფრთხოების სისტემისა და საოფისე ფართის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე ამ დროისთვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო წყვეტს სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე